პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ თებერვალი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის, „ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის --- თებერვლის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412678348) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელისათვის ავეჯის გადაცემის თაობაზე. მოძრავი ქონების საერთო ღირებულება შეადგენს 71 020.00 (სამოცდათერთმეტი ათას ოცი) ლარი.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერის №412678348) თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონება, გამოყენებულ იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის ---- თებერვლის
№ ------ განკარგულების დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ჩამონათვალი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ფასი	ჯამი
1.	მოსწავლის მაგიდა (მერხი)	70	240	16800
2.	მოსწავლის სკამი	140	60	8400
3.	მაგიდა მისადგამით	1	600	600
4.	მაგიდა მისადგამით	2	500	1000
5.	მაგიდა მასწავლებლის	47	180	8460
6.	მაგიდა სასადილოსათვის	4	150	600
7.	ნოტების დაფა	7	120	840
8.	კარადა	54	220	11880
9.	კარადა ფირფიტებისათვის	2	300	600
10.	კარადა დიდი N2	2	400	800
11.	კარადა დახურული	2	500	1000
12.	კარადა საკლასო ჟურნალებისათვის	2	550	1100
13.	დივანი	1	800	800
14.	სავარძელი (რბილი)	2	350	700
15.	საოფისე სკამი	300	55	16500
16.	ტანსაცმლის საკიდი	47	20	940
	სულ			71020

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის
კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში
გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის
გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებამ“ (04.10.2023 წ. N31-4423277372), რომელიც შეეხება გაერთიანების ფილიალის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისათვის ახალი სასწავლო ინვენტარის შეძენას.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს და მათი განხორციელების ძირითად ასპექტებს, ასევე განსაზღვრავს ქონებრივი საკითხების რეგულირების სამართლებრივ მექანიზმებს. მოცემული აქტით, მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა სათანადო განხორციელების მიზნით უფლებამოსილი არიან დააფუძნონ და მართონ კერძო სამართლის იურიდიული პირები და ამ მიზნით გადასცენ მათ ქონება, კანონით დადგენილი წესით.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT23002190) შედეგების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა (შემდგომში ,,შემსყიდველი“) და შპს ,,დეკორიუმს“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) შორის, 2023 წლის 17 ნოემბერს გაფორმდა №452 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის საფუძველზეც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას გადმოეცა 71 020.00 (სამოცდათერთმეტი ათას ოცი) ლარის ღირებულების მოძრავი ქონება - ავეჯი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერის №412678348) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, ავეჯი, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისათვის, მოძრავი ქონების საერთო ღირებულება შეადგენს 71 020.00 (სამოცდათერთმეტი ათას ოცი) ლარი (დანართი განკარგულებას თან ერთვის).

ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერის №412678348მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონება, გამოყენებულ იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

122-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის. მე-4 პუნქტის შესაბამისად ,,მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასევე, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ,,5. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს“.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი